ევროპის
უნივერსიტეტის

2026-2032
წლების
სტრატეგია

თბილისი, გურამიშვილის გამზ. 76

სარჩევი

დოკუმენტის შესახებ 2

მეთოდოლოგია 4

უნივერსიტეტის მისია 5

ხედვა 7

უნივერსიტეტის ღირებულებები 8

სტრატეგიული მიმართულებები/პრიორიტეტები და ამოცანები 10

პრიორიტეტი I: უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და მესამე მისიის გაძლიერება 11

პრიორიტეტი II: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და ინტერნაციონალიზაცია 12

პრიორიტეტი III: სასწავლო პროცესის განვითარება 14

პრიორიტეტი IV: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება 15

პრიორიტეტი V: სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება 17

პრიორიტეტი VI: უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და ინსტიტუციური განვითარება 19

დანართები 21

დოკუმენტის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტის შვიდწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმას, რომელშიც ასახულია უნივერსიტეტის გრძელვადიანი ხედვა, სტრატეგიული მიმართულებები/პრიორიტეტები და ამოცანები. აღნიშნული გეგმა ეფუძნება უნივერსიტეტის გაცხადებულ მისიასა და ღირებულებებს. სტრატეგიული განვითარების დოკუმენტით უნივერსიტეტი განსაზღვრავს მოქმედების ექვს ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობის საკვანძო სფეროებს და უზრუნველყოფს მის შემდგომ განვითარებასა და გაუმჯობესებას სტრატეგიის მოქმედების სრული ციკლის განმავლობაში. უნივერსიტეტი გაცხადებული სტრატეგიული მიმართულებებისა და ამოცანების მიღწევისთვის, აყალიბებს კონკრეტულ სამიზნე საშუალოვადიან და გრძელვადიან მაჩვენებლებს, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიის განხორციელებით დამდგარი შედეგების გაზომვას. ამასთანავე, უნივერსიტეტის სტრატეგიის პრაქტიკაში განხორციელების მიზნით, იქმნება სამ აკადემიურ წელზე გათვლილი სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც, დეტალურად, თვეების მიხედვით, ხდება ერთ აკადემიურ წელზე გათვლილი ღონისძებების გაწერა. სამოქმედო გეგმის ღონისძიებები ყოველი აკადემიური წლის დასაწყისში ახლდება დამდგარი შედეგებისა და გამოვლენილი გამოწვევების შესაბამისად. ასევე მოდიფიცირება შესაძლებელია განიცადოს ამოცანებმა, თუმცა სტრატეგიით განსაზღვრული მიმართულებები რჩება უცვლელი.

ევროპის უნივერსიტეტისთვის 2026–2032 წლების სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი წარმოადგენს უნივერსიტეტის რიგით მეორე შვიდწლიან სტრატეგიულ გეგმას და შემუშავებულია წინა სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების შეფასებისა და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე.

მოცემული ქმნის მიღებული შედეგების შენარჩუნების, თანმიმდევრული და სისტემური განვითარების წინაპირობას.

აღსანიშნავია, რომ ევროპის უნივერსიტეტი 2012 წლიდან გამოჩნდა ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მდგრად და დინამიურად განვითარებად კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებას. იგი დღეის მოცემულობით აერთიანებს 5 ფაკულტეტსა და 22 საგანმანათლებლო პროგრამას. უნივერსიტეტი ხასიათდება მულტიკულტურული გარემოთი, სადაც თავს იყრის როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო სტუდენტები და აკადემიური პერსონალი. უნივერსიტეტს გააჩნია ფართო და მრავალფეროვანი საერთაშორისო ქსელი, რაც მნიშვნელოვნად აძლიერებს მის საგანმანათლებლო და კვლევით პოტენციალს. ევროპის უნივერსიტეტი აერთიანებს საერთაშორისო სტანდარტების თანამედროვე ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. მიუხედავად ბოლო წლებში მიღწეული შედეგებისა, უნივერსიტეტი ორიენტირებულია შესაძლებლობების გაძლიერებაზე, რათა განამტკიცოს მისი პოზიციები ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში.

უნივერსიტეტის 2026-2032 წლების სტრატეგია და მისი განხორციელების 3 წლიანი სამოქმედო გეგმა უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით შემუშავდა, რაც განაპირობებს მოცემული გეგმის პრაქტიკაში განხორციელების ეფექტურობას.

მეთოდოლოგია

ევროპის უნივერსიტეტის 2026–2032 აკადემიური წლების სტრატეგიისა და 3 წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება ეფუძნება მმართველი საბჭოს მიერ დამტკიცებულ „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას“.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება ევროპის უნივერსიტეტში დაიწყო მოქმედი სტრატეგიის ამოწურვამდე ერთი წლით ადრე, ევროპის უნივერსიტეტის რექტორის N5712 ბრძანების საფუძველზე, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი. უნივერსიტეტის სტარტეგიული დაგეგმვის ჯგუფს ხელმძღვანელობდა რექტორი.

ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლების პროცესი მოიცავდა წინა სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმების განხორციელების ანალიზს. ამასთანავე, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებმა, შესაბამის ვიცე-რექტორებთან მჭიდრო თანამშრომლობით შეიმუშავეს, სტრუქტურული ერთეულების ჭრილში SWOT ანალიზის დოკუმენტი, რომელშიც ასახულ იქნა უნივერსიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, არსებული შესაძლებლობები და პოტენციური საფრთხეები.

წარმოდგენილი SWOT ანალიზისა და წინა სტრატეგიული დოკუმენტის ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით, გადაიხედა ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმართულებები და ამოცანები. აღნიშნული მიმართულებებისა და ამოცანების მიღწევის მიზნით კი, შემუშავდა 3 წლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს სამწლიან პერსპექტივაში განსახორციელებელ კონკრეტულ ღონისძიებებსა და ამ ღონისძიებების განხორციელებისთვის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით გათვალისწინებულ ყველა საჭირო ინფორმაციას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განახლების პროცესში, დოკუმენტში აისახა მნიშვნელოვანი ცვლილებები. კერძოდ, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში დაინტეგრირდა უნივერსიტეტის მესამე მისია, რომელიც გულისხმობს საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში წვლილის შეტანას. ასევე გათვალისწინებულია გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs), რაც გულისხმობს იმას, რომ უნივერსიტეტი საკუთარი მანდატის ფარგლებში ორიენტირებულია მათი მიღწევის ხელშეწყობაზე.

სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის განახლების მიზნით, ჩატარდა გაფართოებული, ფოკუს ჯგუფებთან და ინდივიდუალური შეხვედრები. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საბოლოო ვალიდაციის მიზნით, გაიმართა საჯარო განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი, ასევე სხვა დაინტერესებული მხარეები. ევროპის უნივერსიტეტის 2026-2032 აკადემიური წლების სტრატეგია და 3-წლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცდა უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს მიერ.

დოკუმენტი გამოქვეყნებულია საჯაროდ უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

უნივერსიტეტის მისია

ევროპის უნივერსიტეტი არის ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა:

- სტუდენტზე ორიენტირებული, ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზება;
- ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;

- სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის განვითარება;

- საქართველოში ცოდნის საზოგადოებასა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა და საკუთარი წვლილის შეტანა;

- კრიტიკული აზროვნების, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებით, ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თვითრეალიზებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;

- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა;

- სოციალური პასუხისმგებლობის/მესამე მისიის ფარგლებში, საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების უზრუნველყოფა ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემისა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა.

ხედვა

ევროპის უნივერსიტეტი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის, მაღალი ხარისხის განათლებას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც გამოირჩევიან სიღრმისეული თეორიული ცოდნით და აღჭურვილნი არიან შესაბამისი პრაქტიკული უნარებით.

უნივერსიტეტი აღიარებულია ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში, აქტიურად თანამშრომლობს წამყვან საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან. ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ერასმუს+ მობილობებსა და შესაძლებლობების გაძლიერების (CBHE) პროექტებში.

უნივერსიტეტი ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას და აღნიშნული მიმართულებით ზრუნავს აკადემიური პერსონალის წახალისებასა და ჩართულობაზე.

ევროპის უნივერსიტეტი ფლობს თანამედროვე, კარგად აღჭურვილ, ადაპტირებულ სასწავლო, სამეცნიერო და სამუშაო ინფრასტრუქტურას, ინარჩუნებს ფინანსურ მდგრადობას, იზიდავს და ინარჩუნებს მაღალკვალიფიციურ ადამიანურ რესურსს, ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. უნივერსიტეტს წვლილი შეაქვს საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში.

უნივერსიტეტის ღირებულებები

ხარისხზე ორიენტირება - სწავლა/სწავლების, სამეცნიერო და უნივერსიტეტის მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისას, აგრეთვე, საუნივერსიტეტო სერვისების მიწოდებისას მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა.

მიზანსწრაფვა და მუდმივი განვითარება - ევროპის უნივერსიტეტი მუდმივ განახლებაზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ისწრაფვის როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე ღირსეული პოზიციების განმტკიცებისთვის. უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო საზოგადოების განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა.

ინკლუზიურობა - უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ინკლუზიურ ჩართულობას საერთო სტრატეგიული მიზნების მიღწევაში და ხელს უწყობს უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, მიზნების, ხედვებისა და ღირებულებების თანაბარ გაზიარებას. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ყველა პროცესში უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობას მათი კომპეტენციის, ინტერესებისა და უფლებამოსილების შესაბამისად და ხელს უწყობს გადაწყვეტილებების მიღებას კოლეგიალურად, მხარეთა აქტიური ჩართულობით.

ღიაობა და გამჭვირვალეობა - უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა პროცესთან მიმართებით, ორგანიზაცია იყენებს ღია და საჯარო მიდგომებს, რომელიც აისახება შესაბამის წესებში, პროცედურებსა და გადაწყვეტილებებში. იგი ხელს უწყობს თანამშრომლობას ყველა დაინტერესებულ მხარესთან საერთო მიზნების მიღწევის მიზნით.

სამართლიანობა- ევროპის უნივერსიტეტში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, ყველა დაინტერესებული მხარის უფლებებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით,

ეყრდნობა სამართლიან არგუმენტებს და გადაწყვეტილების მიღების ობიექტურ კრიტერიუმებს.

თანასწორობა და თანაბარი შესაძლებლობები - უნივერსიტეტი ორიენტირებულია კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობაზე, რისთვისაც ავითარებს ისეთ საგანმანათლებლო სივრცეს, რომელშიც საუნივერსიტეტო საზოგადოების თითოეული წევრი თავს გრძნობს სოციუმის სრულუფლებიან წარმომადგენლად, მიუხედავად მისი რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნისა.

მაღალი აკადემიური კულტურა - უნივერსიტეტი მიესალმება და ყოველმხრივ ხელს უწყობს საუნივერსიტეტო გარემოში აკადემიური ეთიკის პრინციპების, კოლეგებს შორის ურთიერთპატივისცემის, მხარდაჭერისა და კოლეგიალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

აკადემიური თავისუფლება - უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიურ თავისუფლებას, რაც გამოიხატება სწავლების, სწავლის, კვლევისა და გამოხატვის თავისუფლებაში.

სტრატეგიული მიმართულებები/პრიორიტეტები და ამოცანები

ევროპის უნივერსიტეტის მისიის, დეკლარირებული ხედვისა და ღირებულებების შესაბამისად, განსაზღვრულია პრიორიტეტული მიმართულებები და ამოცანები, რომელთა შესრულებით 2032 წლისთვის უნივერსიტეტმა უნდა მიაღწიოს დასახულ სამიზნე მაჩვენებლებს. განსაზღვრული მიმართულებები/პრიორიტეტები და ამოცანები სრულად პასუხობს უნივერსიტეტის საჭიროებებს, ხოლო მათი მიღწევა მიზნად ისახავს უნივერსიტეტის მდგრად და სტაბილურ განვითარებას.

მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში ევროპის უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტებია:

- **პრიორიტეტი I**: უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და მესამე მისიის გაძლიერება;
- **პრიორიტეტი II:** საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და ინტერნაციონალიზაცია;
- **პრიორიტეტი III:** სასწავლო პროცესის განვითარება;
- **პრიორიტეტი IV:** სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება;
- **პრიორიტეტი V:** სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება;
- **პრიორიტეტი VI:** უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და ინსტიტუციური განვითარება

პრიორიტეტი I: უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და მესამე მისიის გაძლიერება

უნივერსიტეტის ბრენდის განვითარება და მესამე მისიის გაძლიერება წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიულ მიმართულებას ევროპის უნივერსიტეტისთვის. სტრატეგიის შემდგომი მოქმედების პერიოდში, უნივერსიტეტი ორიენტირებული იქნება სისტემურ, მდგრად და შედეგზე ორიენტირებულ ნაბიჯებზე, რაც უზრუნველყოფს უნივერსიტეტის პოზიციის განმტკიცებასა და გაძლიერებას როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ დონეზე.

საერთაშორისო დონეზე, უნივერსიტეტი მიზნად ისახავს გააფართოოს საერთაშორისო ქსელი, გაზარდოს ხილვადობა და გააძლიეროს პოზიციონირება სხვადასხვა საერთაშორისო აკადემიურ, სამეცნიერო და საგანმანათლებლო სივრცეში. ამ მიზნით, უნივერსიტეტი გეგმავს თანამშრომლობას საერთაშორისო ინსტიტუტებთან, ერთობლივი ინიციატივებისა და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელების გზით. ასევე, იგი მიზნად ისახავს საერთაშორისო სარეიტინგო პლატფორმებზე მისი შედეგების კიდევ უფრო გაუმჯობესებას და ხარისხობრივად უფრო მაღალ ნიშნულზე აყვანას. ადგილობრივ დონეზე კი, უნივერსიტეტი გააგრძელებს ეფექტურ პოზიციონირებას, რისთვისაც საინფორმაციო სივრცეში უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სიახლეებისა და განხორციელებული ღონისძიებების სწორ და ეფექტურ წარმოჩენას.

მესამე მისიის გაძლიერების მიზნით, მომდევნო წლებში უნივერსიტეტი განახორციელებს საზოგადოებრივი კეთილდღეობისკენ მიმართულ სხვადასხვა ინიციატივას. ამასთანავე, გაგრძელდება კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და მისი პოპულარიზაციისკენ მიმართული ღონისძიებების მხარდაჭერა.

ამავე პრიორიტეტის ფარგლებში უნივერსიტეტი გეგმავს აქტიურ მუშაობას მიზნობრივ აუდიტორიასთან, რაც გულისხმობს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო სტუდენტებში ცნობადობის კიდევ უფრო გაზრდასა და მათ მოზიდვაზე სისტემურ ზრუნვას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, უნივერსიტეტი აქტიურად მიიღებს მონაწილეობას საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში, მოაწყობს ღია კარის დღეებს, საინფორმაციო შეხვედრებს, თემატურ ვორქშოფებს და სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

სტრატეგიული მიმართულების/პრიორიტეტის მიღწევის მიზნით უნივერსიტეტი ისახავს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- ამოცანა 1.1 უნივერსიტეტის ცნობადობისა და მის მიმართ ნდობის ამაღლება;
- ამოცანა 1.2 უნივერსიტეტის მესამე მისიის გაძლიერების მიზნით, საზოგადოებრივი კეთილდღეობისკენ მიმართული ღონისძიებების მხარდაჭერა;
- ამოცანა 1.3 ადგილობრივი აბიტურიენტების მოზიდვა;
- ამოცანა 1.4 საერთაშორისო აბიტურიენტების მოზიდვა.

პრიორიტეტი II: საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და ინტერნაციონალიზაცია

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და ინტერნაციონალიზაცია უნივერსიტეტის ერთ-ერთ საკვანძო მიმართულებას წარმოადგენს. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შრომისა და საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნებისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და აკრედიტაციას. უნივერსიტეტი მომდევნო წლებშიც გააგრძელებს არსებული საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივ გაუმჯობესებაზე ზრუნვას. აღნიშნულ პროცესში

მნიშვნელოვანი როლი უკავიათ დაინტერესებულ მხარეებს, მათ შორის უნივერსიტეტის სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პერსონალსა და დამსაქმებლებს. არსებული პროგრამების მდგრადობისა და უწყვეტობისთვის, უნივერსიტეტი განაგრძობს მათი აკრედიტაციის უზრუნველყოფას შესაბამისი ვადებისა და სტანდარტების დაცვით.

პროგრამების განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს ინტერნაციონალიზაცია. აღნიშნული ემსახურება უნივერსიტეტის გრძელვადიანი განვითარების, აკადემიური ხარისხის ამაღლებისა და საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის განმტკიცებას. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ეფექტიანი იმპლემენტაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მსაზღვრელს წარმოადგენს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამებში. სწორედ ამისთვის უნივერსიტეტი ორიენტირებულია გაზარდოს სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მონაწილეობა გაცვლით პროგრამებში. მოცემული მექანიზმი ქმნის შესაძლებლობას, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მიიღონ უშუალო წვდომა საერთაშორისო აკადემიურ გამოცდილებაზე, ინოვაციურ პედაგოგიურ პრაქტიკებსა და კვლევით მიდგომებზე, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ტრანსფერსა და ინტეგრაციას საუნივერსიტეტო სივრცეში. გარდა ზემოთ ხსენებულისა, უნივერსიტეტი მომდევნო წლებში აქტიურად უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის სხვადასხვა სახის საერთაშორისო საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართვის შესაძლებობის მოძიებასა და განხორციელებას.

უნივერსიტეტი ორიენტირებულია შეიმუშავოს ორმაგი და/ან ერთობლივი ხარისხის საგანმანათლებლო პროგრამები და ასევე იზრუნოს მათ განხორციელებაზე. აღნიშნული პროგრამები დაეფუძნება საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებს, პარტნიორი ინსტიტუტების გამოცდილებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რაც

გაზრდის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობასა და სტუდენტების დასაქმების შესაძლებლობებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

სტრატეგიული მიმართულების/პრიორიტეტის მიღწევის მიზნით უნივერსიტეტი ისახავს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- ამოცანა 2.1 ახალი პროგრამების შემუშავება;
- ამოცანა 2.2 მოქმედი პროგრამების განვითარება;
- ამოცანა 2.3 პროგრამების ინტერნაციონალიზაცია.

პრიორიტეტი III: სასწავლო პროცესის განვითარება

ევროპის უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზება უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, რომლის მიღწევაც უზრუნველყოფილი იქნება სასწავლო პროცესის დაგეგმვის და განხორციელების ხარისხის ზრდის, ასევე სწავლების, სწავლის და შეფასების თანამედროვე მეთოდების იმპლემენტაციით.

ევროპის უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროცესს მოიაზრებს, როგორც ცოცხალ, სინერგიულ პროცესს. შესაბამისად სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით ემხრობა კომპლექსურ მიდგომას, რაც გულისხმობს, როგორც აკადემიური და მოწვეული პერსონალის პედაგოგიური კვალიფიკაციის ამაღლებაზე სისტემატურ ზრუნვას, ასევე, სტუდენტთათვის შეთავაზებული სასწავლო პროცესების გამართული მიმდინარეობის, საგანმანათლებლო პროგრამებით დადგენილი შედეგების მიღწევის უზრუნველყოფას, მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკით გამყარების შესაძლებლობის მიცემას, განვითარებისთვის აუცილებელი გარემოს შექმნას. მხოლოდ ამგვარი მიდგომით შეიძლება სასწავლო პროცესში

მოხდეს სწავლა-სწავლების და შეფასების ინოვაციური მეთოდების რეალური იმპლემენტაცია.

სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს აკადემიური ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას და ამ მიმართულებით გააგრძელებს სისტემური ღონისძიებების განხორციელებას. აღნიშნული მიმართულებით ასევე შეიმუშავებს და დანერგავს თანამედროვე გამოწვევებზე მორგებულ მექანიზმებს.

სტრატეგიული მიმართულების/პრიორიტეტის მიღწევის მიზნით უნივერსიტეტი ისახავს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- ამოცანა 3.1 სწავლა - სწავლების და შეფასების თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა;
- ამოცანა 3.2 პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობის გაძლიერება;
- ამოცანა 3.3 აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის მექანიზმების განვითარება;
- ამოცანა 3.4 სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება.

პრიორიტეტი IV: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება უნივერსიტეტის სტრატეგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს, რადგან მხოლოდ ახალი ცოდნის გენერირებით არის შესაძლებელი უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, სრულფასოვანი ფუნქციონირება. აღნიშნული პრიორიტეტის პრაქტიკაში განხორციელების მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ქმედითი ნაბიჯების გადადგმას, რაც განსაზღვრავს

შემდგომი მოქმედებების არეალს. ამ მიზნით, უნივერსიტეტი შეიმუშავებს კვლევის სტრატეგიას, რომელიც ორიენტირებული იქნება კვლევითი საქმიანობის სისტემურ განვითარებასა და გაძლიერებაზე.

უნივერსიტეტში მოქმედი ფაკულტეტების ფარგლებში, გაერთიანებულია კვლევითი ინსტიტუტები, რომლებიც მყარ საფუძველს ქმნის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების შემდგომი განვითარებისათვის. აღნიშნული ინსტიტუტები აქტიურად გააგრძელებენ უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის გაძლიერებაში წვლილის შეტანას, მათ შორის კვლევითი პროექტების ინიცირებისა და განხორციელების გზით. ასევე, ინსტიტუტები შემდგომ წლებშიც აქტიურად უზრუნველყოფენ სამეცნიერო ჟურნალების გამოცემას, რომლებიც შეესაბამება აკადემიურ და ეთიკურ სტანდარტებს და ხელს შეუწყობენ დარგში ახალი მიდგომებისა და ცოდნის გაზიარებას. აგრეთვე, ინსტიტუტები ადგილობრივი და საერთაშორისო აკადემიური პერსონალის ჩართულობით, განახორციელებენ სხვადასხვა სახის მნიშვნელოვან ღონისძიებებს, რომელიც ორიენტირებული იქნება ახალი ცოდნის გაზიარებასა და კვლევის შედეგების ფართოდ გავრცელებაზე.

ზემოაღნიშნულის გარდა, კვლევითი საქმიანობის შემდგომი განვითარების მიზნით, უნივერსიტეტი მომდევნო წლებში ფაკულტეტების აქტიური ჩართულობით უზრუნველყოფს სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებას სხვადასხვა აქტუალური თემების ირგვლივ. ამასთანავე, უნივერსიტეტი გააგრძელებს აკადემიური პერსონალის აქტიურ მხარდაჭერასა და ინფორმირებას სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით.

უნივერსიტეტის მოქმედი ფაკულტეტები კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით, შემდგომ წლებში აქტიურად განახორციელებენ სხვადასხვა სახის მნიშვნელოვან ღონისძიებას.

სტრატეგიული მიმართულების/პრიორიტეტის მიღწევისთვის უნივერსიტეტი ისახავს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- ამოცანა 4.1 სამეცნიერო კვლევითი პოტენციალის შეფასება და განვითარების პოლიტიკის შემუშავება;
- ამოცანა 4.2 კვლევის პროდუქტიულობის გაზრდა;
- ამოცანა 4.3 აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა;
- ამოცანა 4.4 კვლევით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვის წახალისება და ხელშეწყობა.

პრიორიტეტი V: სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება

ევროპის უნივერსიტეტის გაცხადებული მისიის თანახმად, სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს. აღნიშნული მიმართულებით, უნივერსიტეტი სისტემურად უზრუნველყოფს ერთი მხრივ, სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პირობებისა და მეორე მხრივ, კარიერულ და პიროვნულ ზრდაზე მიმართული ჯანსაღი გარემოს შექმნას.

სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს განვითარების მნიშვნელოვანი კომპონენტია მაღალი ხარისხის საკონსულტაციო და კარიერული მხარდაჭერის სერვისების შეთავაზება. აღნიშნულის ფარგლებში, უნივერსიტეტი შემდგომ წლებში აქტიურად განახორციელებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. აგრეთვე, უნივერსიტეტი იზრუნებს სტუდენტებისათვის მაღალი ხარისხის, მათ მოთხოვნებზე მორგებული ელექტრონული სერვისების მიწოდებაზე, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ეფექტურობას და სტუდენტთა კმაყოფილების გაზრდას.

სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტი განახორციელებს ისეთი სახის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული იქნება სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ჯანსაღი კომუნიკაციის განვითარებაზე, ასევე სტუდენტთა სოციალური, კულტურული, სპორტული და საზოგადოებრივი აქტიურობის გაზრდაზე.

უნივერსიტეტი მომდევნო წლებში კიდევ უფრო აქტიურად შესთავაზებს სტუდენტებს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ ექსტრაკურიკულური ხასიათის ღონისძიებებს, რაც ხელს შეუწყობს როგორც სტუდენტთა სრულფასოვან ჩართულობას სასწავლო პროცესში, ისე მათ პროფესიულ, პიროვნულ და კულტურულ განვითარებას.

სტრატეგიული მიმართულების/პრიორიტეტის მიღწევის მიზნით უნივერსიტეტი ისახავს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- ამოცანა 5.1 სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა;
- ამოცანა 5.2 სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ელექტრონული სერვისების განვითარება;
- ამოცანა 5.3 სტუდენტური ცხოვრების განვითარება და ინიციატივების მხარდაჭერა;
- ამოცანა 5.4 ექსტრაკურიკულური პროექტებისა და აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა;
- ამოცანა 5.5 სტუდენტური გუნდების/კლუბების განვითარების ხელშეწყობა.

პრიორიტეტი VI: უნივერსიტეტის ორგანიზაციული მართვა და ინსტიტუციური განვითარება

ევროპის უნივერსიტეტისთვის აღნიშნული პრიორიტეტის მიღწევა მდგრადი და სტაბილური განვითარების მნიშვნელოვანი საწინდარია. უნივერსიტეტი აქტიურად იზრუნებს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო აკადემიური პერსონალის მოზიდვასა და შენარჩუნებაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა თანამშრომელთა მუდმივ პროფესიულ განვითარებას, ჯანსაღი და თანასწორი სამუშაო გარემოს შექმნას, ასევე კმაყოფილების ზრდისკენ მიმართული მნიშვნელოვანი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას.

უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია, რომ ორგანიზაციული ზრდა შეესაბამებოდეს არამხოლოდ ინტელექტუალურ, არამედ მატერიალურ შესაძლებლობებს. ამ მიზნით, შემდგომ წლებში განხორციელდება მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის ახალი სასწავლო შენობებისა და თანამედროვე კლინიკის გახსნა, რაც უზრუნველყოფს სასწავლო შესაძლებლობების გაძლიერებას, სასწავლო გარემოს გაუმჯობესებას და უნივერსიტეტის მდგრად განვითარებას. უნივერსიტეტის თანმიმდევრული განვითარებისა და თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, უნივერსიტეტი ორიენტირებულია თანამედროვე საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურისა და სერვისების შექმნაზე, რომლებიც სრულად პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს და უზრუნველყოფს პროცესების ეფექტურ მართვას.

შემდგომ წლებში უნივერსიტეტი აქტიურად იზრუნებს ინსტიტუციური მდგრადობის გაძლიერებასა და საერთაშორისო აკრედიტაციების, გარე შეფასების პროცესზე, შეფასების შედეგად ინსტიტუციურ განვითარებაზე, რისთვისაც გადადგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს მათი პრაქტიკაში რეალიზების კუთხით. გარდა

ამისა, უნივერსიტეტი აქტიურად განახორციელებს საერთაშორისო პროექტებს და იზრუნებს ახალი შესაძლებლობების მოძიებაზე, რომელიც მიმართული იქნება როგორც ინსტიტუციური, ისე საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისკენ.

სტრატეგიული მიმართულების/პრიორიტეტის მიღწევის მიზნით უნივერსიტეტი ისახავს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- ამოცანა 6.1 ადამიანური რესურსების მართვა და ეფექტიანობის ამაღლება;
- ამოცანა 6.2 ორგანიზაციული კულტურის განვითარება და თანამშრომელთა კმაყოფილების გაზრდა;
- ამოცანა 6.3 უნივერსიტეტის მატერიალურ რესურსების განვითარება;
- ამოცანა 6.4 საინფორმაციო-ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურისა და ციფრული სერვისების განვითარება;
- ამოცანა 6.5 უნივერსიტეტის ორგანიზაციული განვითარება.

დანართები

დოკუმენტს თან ახლავს შუალედური და გრძელვადიანი სამიზნე ნიშნულები, რომელიც ასახულია დანართ #1-ში;